ხელშეკრულების პროექტი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.)

ქ.ხობი 2017 წელი

ერთი მხრივ ----------, წარმოდგენილი ---------- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და და მეორეს მხრივ ---------- <u>პრე ტე ნდე ნ ტის</u> <u>(დასახე ლე ბა)</u> სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA……..) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში- ,,ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. ,,მიმწოდებელი”- პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. ,,დღე”. ,,კვირა”, ,,თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. ,,სამუშაო”- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა” – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი ,,შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა” რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.8. ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ – სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მინიმალური საგარანტიო ვადების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შევსებული საგარანტიო ვადები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ---------- სამუშაოების შესყიდვა (კლასიფიკატორის კატეგორია: ----------)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----------.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიწოდებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

4.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.(შემსყიდველის მიერ შეტყობინებით განსაზღვრულ ვადებში)

5. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

5.1.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით);

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად კონკრეტული ეტაპების მიხედვით ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2, და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა ან/და ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

5.3. საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის, ფორმა #2, და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება განხორციელდება იმ დოკუმენტის (ფორმა №2 და/ან ექსპერტის დასკვნა) მიხედვით, რომელშიც უფრო ნაკლები ღირებულება იქნება დაფიქსირებული.

5.4. ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი.

5.5 ავანსის სახით მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30% ჩაერიცხება გარანტიის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 2 (ორი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.

5.7 შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანამად :

$$z = \frac{A * (X\% - Y\%)}{70-20}$$

z= არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში

A= წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას

X= წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისათვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში, ეს მონაცემები არ აღემატება 70 %-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

6. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ზედამხედველობას ახორციელებს კონტროლის ჯგუფი.

6.2 შესასრულებელი სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიღების აქტი) წარმოდგენის შემდეგ.

6.3. საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფორმა N3, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთი არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, რითაც დადასტურდება: 1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე, 2. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა, 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამისათვის მიმწოდებელმა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ში ან სხვა აკრედიტებულ პირს შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარუდგინოს მიმართვა შემდეგი ფორმით:

„წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ:

1. ფორმა N2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე;
2. ფორმა N2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში;
3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი“.(ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას იხდის მიმწოდებელი)

6.4. თუ საექსპერტო დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მოცულობა, ხარისხი და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ან კონტროლის ჯგუფმა შესრულებული სამუშაოები შეაფასა წუნით მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა.

6.5. სამუშაოთა ნაწილობრივი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა ხდება კონტროლის ჯგუფის მიერ.

6.6. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

7. სამუშაოების შესრულების ადგილი და ვადა

7.1. სამუშაოების შესრულების ადგილია ----------

7.2. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ----------პერიოდი.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ხელშეკრულების საგანი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

8.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი
პირობების გათვალისწინებით.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო;

8.4.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

8.4.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოებიდან;

8.4.4 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

8.4.5 ფარული სამუშაოები აწარმოოს ამ ხელშეკრულებიით განსაზღვრული კონტროლის ჯგუფის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

8.5.6 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ.

8.6.7. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;

8.6.8 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

8.7.9 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

8.9.10 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;

8.10.11 ხელშეკრულების გაფორმებიდან ქვეკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, 10 დღით ადრე წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად. შემსყიდველი უფლებამოსილია არგუმენტირებული უარი განაცხადოს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ქვეკონტრაქტის დადებაზე.

8.11.12 სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 % დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით.

8.12.13 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

8.5 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

6.4.1 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება;

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის

მიერ განსაზღვრული კონტროლის ჯგუფი. რომელთა შემადგენლობას შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს წინასწარ.
9.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.
9.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი შესრულების ვადას გადააცილებს წარმოდგენილი კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს) ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.3. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.4%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.4. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე .
11.2. ხელშეკრულება მოქმედებს ---------- გარდა ხელშეკრულების 4.2 პუნქტისა.
11.3. ხელშეკრულების 4.2 პუნქტი ძალაშია სამუშაოების მთლიანი საგარანტიო ვადის განმავლობაში
11.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.
11.5. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.6. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.7 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს

გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

11.8 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

11.9 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

11.10 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.11 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;

ბ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების დაწყების 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში; (ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნებს სხვა სანქციები, მაგ: ჯარიმა, წერილობითი გაფრთხილება)

გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა;

ვ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

ზ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

თ) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

კ) ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის
შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი

არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

14.6. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიღებული შეტყობინების მიღებიდან შეტყობინებაში მითითებულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ან სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე ხარვეზის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

14.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

14.8. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.10. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და სამი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი